საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9146/01
25/09/2020

9146-01-2-202009251047

შპს „დს ფროდაქშენის“ დირექტორს
ბატონ რუსლან ცინცაძეს
მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N132

ბატონო რუსლან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 17 სექტემბრის N14695 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხემნაში სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება რომ საპროექტო ტერიტორიაზე „ტექნოლოგიური ხაზი“ უკვე მოწყობილია. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. ასევე გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს მოწყობის ვადების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით.

სკრინინგის განცხადებაში, ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების თავში, სანიაღვრე წყლების მოცულობის ფორმულაში მითითებულია ქ. თბილისის ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა. ამასთან, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვაზე მითითებულია, რომ აღნიშნული წყლების ჩაშვება მოხდება ქ. თბილისის ან ქ. მცხეთის გამწმენდ ნაგებობაში. საწარმოს განთავსების გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, საიდან მოხდება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ნედლეულის-სასარგებლო წიაღისეულის

შემოტანა. ასევე, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზების და ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ (მათ შორის დღის განმავლობაში განსახორციელებელი სავარაუდო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა). ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ინერტული ნარჩენი, რომელიც საწარმოში წარმოიქმნება ლამის სახით, დროებით დასაწყობდება ტერიტორიაზე და მისი გამოყენება მოხდება შემდგომში „ამ ლიცენზიის“ ფარგლებში რეკულტივაციისას, კერძოდ, ინერტული მასალის მოპოვების შემდგომ გამომუშავებული ქვაბულის ამოსავსებად. დაზუსტებას საჭიროებს რომელი ლიცენზიის ფარგლებში მოხდება აღნიშნული ნარჩენის გამოყენება და ზოგადად, ინერტული ნარჩენების მართვის საკითხი.

ამასთან, ნედლეულის მახასიათებლებისა და დანადგარის ტიპიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც იდენტურია ქ. თბილისში, გლდანის ხიდის მიმდებარედ შპს „გ.რ. მოტორსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებაში განხილული ტექნოლოგიური ციკლის.

აღსანიშნავია, რომ განცხადების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთი, შპს „დს ფროდაქშენს“ იჯარის ხელშეკრულებით აქვს აღებული სარგებლობაში. თუმცა, მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით და თანდართული ამონაწერით აღნიშნული ინფორმაცია არ დასტურდება.

თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, ტერიტორიიდან ჩრდილოეთით 50 მეტრზე განთავსებულია სასაქონლო ბეტონის წარმოების დანადგარი. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული წარმოების გათვალისწინებით.

დამატებით გაცნობებთ, რომ მითითებულ ნაკვეთზე ან მის ნაწილზე ვრცელდება მდინარე აჭარისწყლის წყალდაცვითი ზოლი, რომლის სიგანე არსებული კანონმდებლობით შეადგენს 50 მეტრს და აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს. წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით. აღნიშნული ტენიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლების მიხედვით დადგენილი აკრძალვები და მოთხოვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე